

# მშობლები № 49

## ეროვნული ყრილობა

(შენიშვნები ეზმაცისა)

„ეს ერთი და სხვა პათოსი“!

გუგუნებს ღარბაზი,  
ბეჭეტული ღამაზი,  
ტაძარი დიდისა  
ბრძენ მეღობჯუნისა  
სამღერი დრამების  
რუსული ენისა.

(„პვირტი“ ტ. I)



ლოშა კათალიკოსისა.

მიუხედავად ჰასაკობროვი სხვა და სხვაობისა, არა მგონია მეორე ქართულ ეროვნულ ყრილობას დასწრებოდეს ვინმე მათგანი, ვისაც იქ ხელდას ჩემი აღფრთოვანებული თავლები.

ეროვნული ყრილობა ბევრით განიჩნევა ჩვეულებრივისაგან.

- ა) ეროვნულ ყრილობას იწვევენ ინტერ პარტიული საბჭო.
- ბ) ეროვნულ ყრილობას ესწრებიან უცხო ქვეყნის კონსულები.
- გ) ეროვნულ ყრილობას ესწრებიან ადგილობრივი მინისტრები.
- დ) ეროვნულ ყრილობის ესწრება კათალიკოსი.

ე) ეროვნულ ყრილობაზე აღმართულია დროშა.

თუ ამ განსხვავებებს ყურადღებას არ მივამჩნევთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ყრილობა გაფრთხილებული კრებაა წერაკითხვის



გამორცელებელ საზოგადოებისა. როგორც არ ულაპარაკია ირაკლი რამიშვილს, ხოლო დათვიკო მობხვემ და წესტორ ცერცვაძემ ვერ ილაპარაკეს იმდენი, რამდენათაც მათი ორგანიზმი მოითხოვდა.

ღიას! ეროვნული ყრილობა იშვიათი ხილი ყოფილა და ამიტომაც სასურველია ამ ერთს, მოჰყვეს სხვა თასის.

**ინტერპარტიული საზოგადოება.**

საქართველოს ყველა პარტიებში მიმივე ტანჯვისა და წუხილში შევს საბჭო, რომელსაც სახელად უწოდეს „ინტერპარტიული“.

მიუხედავად ქართული ანდაზისა: „ღელა ნახე, მიმა ნახე, შეგლი ისე გაშინახე“, ინტერპარტიულმა საბჭომ მოლოდინს გადააქარბა და აგრეთვე მიმივე ტანჯვისა და ვაი ვაგლახში შევა ეროვნული ყრილობა 19 ნოემბრისა, ხოლო ეროვნულმა ყრილობამ დიდს რიხითა და ზეიმით წარმოშობა „ეროვნული საბჭო“.

**პირველი დღე.**

ეროვნული ყრილობის პირველი დღე 19 ნოემბერია\*). ხალხი ტოკავს. ლოცვები სავსეა წარჩინებული სტუმრებით. პარტიებში დღევანდები იკრიბებიან. დღიწყო კამათი დასხდომის შესახებ.

ვინმე სცენიდან. მოქალაქენო! საჭიროა დასხდეთ ასე: მარცხნივ ს. დემოკრატები; შემდეგ ს. რევოლიუციონერები; შემდეგ ს. ფედერალისტები; შემდეგ უბარტიონი, შემდეგ რადიკალ დემოკრატები; შემდეგ ეროვნულ დემოკრატები და შემდეგ თავდაზნაურობა.

იგივე მეორეჯერ. მოქალაქენო საჭიროა დასხდეთ იმ ასე: წინა რიგში ინტერპარტიული საბჭო, შემდეგ ფრაქციები და სხვა.

გდასხდომ გდამოსხდომი განმეორდა შესამეჯერ. მე რასაკვირველია მახსოვს კრილოვის არაკიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგით დასხდომას და ამიტომაც არ გამოვირეგება აღნიშნულ საჯანზე ამდენი შრომის დახარჯვა.

დებუტატები დაირაზმენ ზოლებათ და ფარდაც მიხიდა.

**აბაში ჩხენკელი**

ეროვნული ყრილობა ვახსნა აკაკი ჩხენკელმა. ჩვენ ისე ზნირათ შეგებებივართ აღნიშნულ საზოგადო მოღვაწეს, რომ გვეშინია უკვე გადაქარბებთ არ ჩავვთვალოს მისი ხელახალი შეწუხება.

ჩვენ არ შეგებებით არც იმის სიტყვას ვინადან მის შესახებაც უკვე ბევრი ითქვა, საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ აკაკი ჩხენკელის სიტყვა ერთ განუწყვეტელ ტაშთან იყო ჩაქსოვილი.

**ტაშში (ანუ აპლოდისმენტი)**

ჩვენი მსჯელობა „ტაშის“ შესახებ ამ შემთხვევაში დამოუკიდებელია ეროვნულ ყრილობისაგან.

ძველათ საქართველო ცნობილი იყო ლამაზი ქალებით. დღეს იგივე საქართველო ცნობილია შეუღარბებელი რევოლიუციონერებით, ხოლო მომავალში ის ცნობილი იქნება განსაცვიფრებელი ტაშით.

სხვა ქვეყნებში ტაშს, ანუ აპლოდისმენტს, ვიწრო მნიშვნელობას აძლევენ. თუ მსმენელს არ მოეწონა სიტყვის შინაარსი, თუ ორატორის აზრი არ ეთანხმება მსმენელისს, ეს უკანასკნელი ტაშს დიახაც არ უკრავს.

ამაზე მეტი ბარბაროსობა განა შეიძლება? სულ სხვა ტურფასა და ლამაზ საქართველოში. აქ სიტყვის შინაარს არაფერ არ უყურებს. ტაშს უკრავენ და ისიც მჭუხარეს საზოგადოთ ყველას, თუკი ორატორი ხმაშალა ილაპარაკებს.

ეროვნულ ყრილობაზე პირველ შემდგულობას, ისიც ცოტად-თუ ბევრათ, იცავდა მარცხენა ფრთა კრებისა. ს. დემოკრატები; ხოლო მეორე შემდგულებას საესებით იზიარებდა დანარჩენი ნაწილი კრებისა.

არ არის დედამიწის ზუგრზე ისეთი ხალხი, რომელსაც ტაშის დაკვრა ქართველზე უკეთ ემეზრებოდეს. აქ ალბათ ჩვენი ეროვნული რადაცა მირჩია.

**მისალმებაზე.**

თავისი ხანგრძლივი და მშვენიერი სიტყვის დასასრულ აკაკი ჩხენკელი მიესალმა ყრილობაზე მოსულ უცხო საპატიო სტუმრებს.

\*) სინტაქსისა ამ სიტყვას ძირა. თათქო ბანუქაშაი, სიტყვას ძირთად ქვეყნულად უძვეს „ხეკა“ რაღაც ადრით დღე სიტყვებულში ჩავდევს ბ. თალიშე მახარაქს.



ეროვნული

ლოჟა კათალიკოსებისათვის

აქ იყენ სახელმწიფოთა წარმომადგენელი.

ნაკიათა წარმომადგენელი.


კათალიკოსი კირიონი.

ქართველი ჯარის მთავარსარდალი.

ხალხი დიდის ოვაციებით ეგებებოდა თითო-ეულ მისლმებს. თამამად შეიძლება ითქვას რომ გულწაკლული იმთვანე სახლში არავინ არ დაბრუნდებოდა.

სამწუხაროდ ჩვენს მხატვარს ისეთი პოზიცია უჭირა, საიდანაც მხოლოდ ცალი მხრის ლოყები მოსჩანდა. ამიტომ ვერ დაგხატეთ დიპლომატთა და მინისტრთა ლოყები

კათალიკოსის ლოყაში ისხდა მთელი მიტროპოლიტი ქართველი ერისა, კათალიკოს კირიონ II მეთაურობთ. ლოყის დიდი საჭეიძო სახე ჰქონდა, თუმცა მორთულობა ყოველად სამედელოთა შავი და თალხი იყო.



(სახტა ეშმაკის)

ლოჯა კათალიკოსისა.

ჭურნალის პირველ გვერდზე იბეჭდება სახება ამ ლოყისა ნახატი. მხ. შალვა ქიქოძის მიერ, ხოლო ეს პატა ფრესკა ვადმოღებულია აშხ. ეშმაკისგან.

შირლოვის პრეზიდენტი.

ეროვნულმა ყრილობამ ერთხმად აირჩია კრების თსემუდომარეთ ნოე ჟორდანი. მის ამხანაგებათ აკაკი სხენკელი, გიორგი ლასხიშვილი და სხვანი. (ტაში).

ნოე ჟორდანი.

ერთ რომელღაც მეფეს უთქვამს: „სახელმწიფო—ეს მე გახლავარა“. ცხადია იგი ბორკილი იყო მთელი სახელმწიფოსი, რომლის მაგიერობასაც ეპირებოდა.

ბოლშევიკებზე იტყვიან: „რუსეთი ეს ჩვენა ვართ“ო ვინაიდან სახელმწიფოს ცენტრებში ხიშტი მათ უპყრიათ ხელთ. საქმე აქაც ძალიადობაზეა. აქ შგმაერთებელი ხიშტია.

ნოე ჟორდანისაც შეუძლია სთქვას: „საქარ

თველო, ეს მე ვარ“ო. პირველ ეროვნულ ყრილობაზე ჰქმნარიტათ რომ ის იყო საქართველო.

ნოე ჟორდანია გულია საქართველოსი და ვის შეუძლია სთქვას გული იგი არ შეეფერება მთელს ორგანიზმსო? რასაკვირველია არავის ქუათა მყოფელს, ხოლო გარეშე ამისა პასუხი ვის მოეკითხება. მარტო წანგრძლივი მოღვაწეობა საკმარისი არ არის, რომ ხალხის გულში ჩაბრძანდე და მოიკალოთ.

ქართველი კაცის ხელოვნებამ „ტაშის“ საქმეში უმადღეს წერტილს მიიღწია ნოე ჟორდანისათვის გამართულ ოვაციების დროს.

ჩემი შეხედულებით ნოე ჟორდანის ამ დღეს ერთად ერთი ნაკლი ჰქონდა. ეს გახლდათ მისი ახალი პიჯაკი. არ ვიცი ეს პიჯაკია გლახათ შეკერილი, არცეი თვალი მქონდა შეჩეუული მის ძველ ტანსაცმელზე.

მილოცვაები.

ერთი რამ გამოირკვა ჩემთვის ისეთი, რომელსაც წინეთ გვეს თვალით ვუცქეროდი. რაგქნა,




უნდა გამოვტყდეთ, რომ არ მეგონა თუ ასე ძლიერ ვუყვარდი ჩვენ ქართველები უცხო ტომებს.

ახლა კი რასა ვხედავ. თურმე ყველანი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ვაგიჟებული ყოფილან ჩვენის ტრფობით. კავკასიის ფრონტის მთავარ სარდალი სულ მუდამ ქერის კი იფხანდა ლაპარაკის დროს, მაგრამ ეს ისიტომ რომ უფრო მგონობია რე სიტყვები გამოენახა.

- თათრები,
- სომხები,
- უკრაინელები,
- პოლონელები,
- ებრაელები,
- ლეკები,
- აფხაზები,

ყველანი ერთი მეორეს ეცილებოდნენ მკერდ-მეტყველობაში და დამსწრე საზოგადოების მჭუხარე ტაშს იწვევდნენ.

აი, მაგალითად უკრაინის წარმომადგენელმა მთელი მოსხენება წიკითხა თავისუფლების საჭიროებასა და ჩვენს სიყვარულზე.



უკრაინის წარმომადგენელი.

ერთი სიტყვით ლაპარაკი არ უნდა ჩვენ არა თუ ჩვენს შინაურებს, არამედ გარეშეებსაც თავდავიწყებით ვყვარებივართ და თუ აზრდნ ხანს სიყვა

რულს ვერ გვიმტლანებდნენ, ამისი მიზეზი უმთავრესად ძველი რეჟიმი იყო.

**გუჯარაი კათალიკოსისა.**

საერთო ყურადღება ყრილობისა მიიპყრო კირონ მეორის გუჯარმა.

დიდი იმავი გამოიწვია ჩემს ლოკაში კამათმა იმის შესახებ, თუ რა ენაზე იყო დაწერილი ის ირადე, რომელიც მამა ნიკიტა თალაკვაძემ წაიძღვრა.

მე ვერ ვიტყვი უმიჯვალად ქართული იყო მეთქი, მაგრამ შორე ნათესაობა რომ ჰქონდა ქართულთან ეს ჩემთვის ყოველივე ექვს გარეშეა.

**მეორე დღე კრებისა.**

**მომენტი და ორიენტაცია.**

ნოე ჟორდანაის მოსხენება მომენტის შესახებ, ეგ ის ღირძია, რომლის გარშემო ტრიბუნებდა პირველი ეროვნული ყრილობა.

მთელი კრება სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს. ხანდის ხან ჩვეულება წასძლედა მსმენელთ და დარბაზში მჭუხარე ტაში გაისმოდა.

ერთხმად მოწონებულ იქმნა დასავლეთის ორიენტაცია, წინაღმდეგ აღმოსავლეთისა.

სრული თვითმართველობა, საშინაო საქმეებში საკუთარი კანონმდებლობით; — აი ჩვენი მოთხოვნები, ამბობს მომხსენებელი და გაისმის გამაყრუებელი ტაში\*).

მომხსენებელს არავინ გამოეკემათებოდა, თუ რომ კრებაზე ფილიპე მახარაძე არ ყოფილიყო.

\*) ქ — ნმა ეკ. გააშვილმა მოწესრიგით განაცხადა: — ქალებო, ყუვილები უნდა მოგვეტანა და ნაესთავს მიგვეყარაო.

მე უნებლიეთ გამახსენდა ამ წინაზე ეკ. გააშვილის მიერ ნოე ჟორდანასადმი მიწერილი წერილი გაზ. „საქართველოში“. მასში უდადესი ცილისწამება გაუკებრთბისა, დღეს კი ყუვილები ჩინებუული ნაბიჯია წინმსვლელობისა.



ფილიპე მახარაძე.

ფილიპე მახარაძემ ორი ორატორის ულუფა ილაპარაკა, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოსთქვა.

მესამე დღე.

მოხსენება კ. აფხაზისა.

ქართველმა თავად-აზნაურობამ ეროვნულ თანხას მთელი თავისი საზოგადო საკუთრება დაუღწო საფუძვლით.

საიდგილ-მამულო ბანკები,

კახეთის რკინის გზა

სათ.-აზნ. გიმნაზიები და კიდევ რამოდენიმე სახლი, აჲ ქართველი ერის საკუთრებას შეადგენს.



კ. აფხაზი.

კონსტ. აფხაზმა ამის შედეგად მოხსენება წაიკითხა. მე ძლიერ მეწყინა რომ ის კითხულობდა, ვინაიდან კ. აფხაზმა ჩინებული ზეპირი ქართული ლაპარაკი იცის. საზოგადოება და ყრილობა სიამოვნებით შეეგება ამ განცხადებას და თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა განუცხადა.

კ. აფხაზის მავალითს მიჰბაძა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დავით



დ. ნიჭაძე.

ნიჭარაძემ და გააცნო საზოგადოებას იმიერ აზნაურობის დადგენილება.

მხოლოდ უმადურია საზოგადოთ; ვილაცამ ჩაილაპარაკა:—ეს მოძრაობის წინაშე ქედის მოხრა იყო, თითქო მოძრაობის დაწყებამდე არა ჰქონოდას თავად-აზნაურობას ეს განზრახვა გულში ჩამარბული. დიხაბ ჰქონდა, მაგრამ ძველი ბარბაროსული მთავრობა ნებას არ აძლევდა ამისას.

დასასრულწაიერ ქორდანიამ განაცხადა, რომ ამიერიდან ყოველი ქართველი მხოლოდ მოქალაქეა, ვინაიდან მალე გამოვა ცნობა, რომლითაც ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგიები ისპობაო, საერთო ტაში.

## მითხე დღე.

### სექციები.

ყრილობამ აირჩია ცხრა სექცია და თითო-  
ეულმა სექციამ დაიწყო შუა თითო რეზოლიუცია.

აი სექციები:

- 1) ეროვნული საკითხის—
- 2) ერობის.
- 3) სამხედრო.
- 4) სკოლა.
- 5) აღმინისტრაციის
- 6) იუსტიციის
- 7) საფინანსო
- 8) სასურსათო
- 9) ქონების.

ჩვენ ძლიერ სასიამოვნოთ დავგზავნა ის გარე-  
შობა, რომ სექციათა რიცხვი (9) ნამდვილი ქართული  
რიცხვია.

### რეზოლიუციები.

#### ა) ეროვნული საკითხის შესახებ.

- რუსეთის ორიენტაცია.
- კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან.
- ამიერ კავკასიის კომისარიატის მხარის  
დაჭერა.
- საქართველოს ეროვნულ საბჭოს შედგენა,  
რომელიც ადგილს დაუთმო ს საქართველოს სერეს.
- დამუფუნებელი კრების მოწვევა რუსეთის  
სათვის.
- საქართველოს ტერიტორიის სრული თვით-  
მართებლობა საკანონმდებლო კრებით.

#### ბ) სკოლა.

- სკოლების სრული ნაციონალიზაცია.
- სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, საერო.

### ინციდენტები\*)

ამ უკანასკნელმა მუხლმა დიდი კამათი გა-  
მოიწვია. სიტყვა ითხოვა ჩვენმა საყვარელმა აგი-  
ტატორმა ნესტორ ცერცვაძემ და განაცხადა:—  
მიკერს ღმერთმანი, მაგალი ჭეყანა იბრძვის სკო-  
ლის ეკლესიიდან განცალკევებისათვის, ვინაიდან

ეკლესია არის დღეა ყოველფერ მართლებისა და  
კრუმორუმუნოებისა. საჭიროა აღწინასწარ, რომ  
სკოლა განშორებულ იქნება ეკლესიისაგან.



ნესტორ ცერცვაძე.

ორატორს განუმარტეს, რომ „საერო“ მართო  
კახურ ღვინოს როდი ნიშნავს, არამედ სკოლის  
ტიპსაც, რომელიც თავისთავად გულისხმობს ეკლესი-  
იიდან განშორებას.

შეტანილ იქნა შესწორება აშკარათ:

— სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, საე-

\*) Скандалъ,



ლდებულო, საერო (განწორებული ვლადისისაგან) უფასო და სხ.

შესწორებას კენჭი უყარეს და მიღებულ იქმნა ერთხმად. წინააღმდეგ ხმა მისცა ორმა კაცმა: გრიგოლ რომაქიძემ ნიკიტა თავლაკვაძემ.

ნესტორ ცერცვაძის გამოვლამ დიდი აურხაური ასტეხა მშვიდობიან ხალხში. წარმოიდგინეთ გამწვავებამ იმ ზომამდე მიადწია, რომ ზოგიერთები (პირს უკან) მას ბოლშევიკსაც კი უწოდებდნენ. აღდგებულები ხალხი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა სასულიერო ორატორის მკვებე სიტყვების ხმარებისათვის.



შალვა ალექსი-მესხიშვილი.

სხიშვილმა. საზოგადოთ ყველა რეზოლიუცია, როგორც პარტიათა შეთანხმების ნაყოფი ერთხმად მიღებულ იქმნა.

**ჯანმრთელობის სექცია.**

იმედი მხოლოდ ერთად ერთმა სექციამ გაგვიმტყუნა. ეს გახლდათ ჯანმრთელობის სექცია. მომახსენებელმა ასე დიწყო:—ვის არ მოეხსენება, რომ „ჯანსაღ აგებულობაში სალი სული“ და გონება ზის“-ო.

მაგრამ მოგეხსენებათ აგრეთვე მეორე ქართული ანდახაც: „ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო.“ არც კი ჩამოსულიყო ორატორი ჯანმრთელობის სტენიდან, რომ ტრიბუნაზე გამოჩნდა უჯანსაღესი დღევანდელ ორატორთა შორის, ნიკოთავდგირიძე, და ჯავახიშვილის ნათქვამს: „ჯანსაღ აგებულობაში სალი სული და აზრი ზისო“, მახვილი ჩასცა.

ნიკოთავდგირიძემ აშკარათ დამტკიცა, რომ ეს ეგრე დიხაც არ არის. რომ ჯანსაღ აგებულებაში ზშირად არა თუ სალი გონება, არამედ კოქლიც არ მოიპოება.

მოქალაქე რუსეთის რესპუბლიკისა ვაჭართა იერგმიად გამოვიდა და განცხადება:—საბრალო ვაჭრები არიან მიტოვებული თავის ანაბარა, არავენ მათ ამბავს არა კითხულობსო.“

ოღონდაც, ოღონდაც ღრთა მოკეთხონ მათი ამბავი.



თავადი ორბელიანი.


შობუცი თავადი ორბელიანი, რომელიც საფულიდან ჩამოსულა ამ ზეიმზე დასასწრებლად, რამოდენიმეჯერ შეეცადა ნესტორ ცერცვაძის დახატვას, მაგრამ მორე მანძილის გამო სურათი ორიგინალს არ დაემსავსა. დავით ნიჭარაძეც ვროზბ აღფუგებული იყო ამ გამოვლით.

შემდგომ ამისა მიღებულ იქმნა დანარჩენი შვიდი რეზოლიუცია. სასამართლოს სექციის შესახებ ილაპარაკა სექციის თავმჯდომარემ და ამიერკავკასის კომისარიატის წევრმა შალვა ალექსი-მე-

# ეროვნულ ყრი-



სტეფანე ახმეტელაშვილი.  
ქართველ ჯარის მთავარსარდალი.



შალვა ამირაჯიბი.



გურამიშვილი.  
(როცა ის უსმენს ნოე შორდანის)

# ლოზის გამო



ვანო ჩერქეზიშვილი.  
(როცა ის უსმენს წიგნს ეორდანიას)



ვლ. გობეჩია.



ილია ზურაბიშვილი.

დასასრულ არჩეულ იქნა დროებითი ეროვნული საბჭო 60 კაცისგან შემდგარი და მოკლე სიტყვის შემდეგ თავაჯდომარემ კრება დახურულათ გამოაცხადა.

ნ ა ღ ი შ ი .

პირველ ზეპულია ძველთაგან  
სიღარაისლე მესხისა,  
პურადობა და ვაჭრობა  
ქართლელთ არა ეძრახვისა,  
ზრდილნი არიან იმერნი  
მტერთა მიმცემი რისხვისა,  
ომი და ლხინი კახისა  
მოსაწონია კაცისა.

და არ ვიცი რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ეროვნულ ყრილობას, თუ კი მისი დამთავრების შემდეგ ქართულ კლუბში ვახშამი არ გამართულიყო. ლაპარაკი თავისთავად და ვახშამი კიდევ თავისთავად.

საკმაოდ ხალხმა მოიყარა შეხვედრაში, თუ ექვსი გრძელი სუფრა იყო გაშლილი და მათ გარშემო განსაკვიფრებელის ხალისითა დი ენერგიით მოქმედებდა კრებაზე დანაშაუნი საზოგადოება.

თამადათ ერთხმად არჩეულ იქნა, აწ ეროვნულ თამადათ წოდებული, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი გრიგოლ დიასამიძე. უკეთეს ჩვენ ფიქრადაც ვერ გავივლებდი გულში.

ჩვენი თამადა სავესე სასმისით დადიოდა მოქვიფეთა შორის და საცა კი შეიქრებოდა ყველგან შექმონდა მზიარულება და აღფრთოვანება. მას დიდის ენერგიით ემბარბოდა ჩვენი მგოსანი ვარდენ ღვანკიფელი.

წარმოითქვა რამოდენიმე ვრცელი და ბოხი სიტყვა მომენტის შესახებ. ამ მხრივ საზოგადოების ყურადღება მიიჯაქვა ტრიფონ ჯაფარიძის მძლუკმა მეტყველებამ, თუკცა მას არც აღ. წერტიელი ჩამორჩენია.



ქ ი ვ ი .

ხალხის თხოვნით ჩინებული ლექსი წაიკითხა მგოსანმა გრიშაშვილმა და არავის არ უთხოვია ისე მგოსანმა ღვანკიფელმა. თამადამ წინადადება მომცა რამოდენიმე სიტყვა მეც წარმოამთქვა ამ სა-

ისტორიო მომენტის შესახებ, მაგრამ ხალხის საუბელუროთ ერთ-ერთმა კნიაქამ სწორეთ ამ დროს მოგვტანა მშვენიერი წინილი კომპოსტოისა და რამოდენიმე მჟაფე კიტრი. ამა სად მივიცილიდი.



მაღელ გამართა ცეცხლ-თაშაში. საუცხოვო სანახავე იყო ქალ-ვაჟთა შეჯიბრება ფეხების გასარსალებსა და მიხვრა მოხვრაში. მოთამაშეთა ირგვლივ თავი მოიყარა აურაცხელმა ხალხმა და ნადიმის ცენტრი ჩრდილოეთ კუთხეში გადმოვიდა. აქვე მოვიდენ ჩვენი მძანი მაჰმადიანი ქართველნი.

მათ მხურვალე სიტყვით მიმართა ქუთაისის გუბერნიის კომისარია გ. გიორგაძემ და პასუხად მთილა ავრეთვე მხურვალე სიტყვა მოლა ისკანდერ ციციძისა.

აქვე მიღებულ იქნა საღმრფემლო აკაკი ჩხენკელის, როგორც აჭარელთა უახლოესი ჭირისულისა.

ნადიმის დასასრულ სუფრას მხოლოდ მე და კოტე ტყავაძე შეერჩით, რათა ერთმანეთისათვის ვაგვიზიარებია ურთი ერთ სიყვარული და თანაგრძნობანი.

საზოგადოთა ნადიმმა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა და გულრწფელად ვისურვე მისი განმეორება მაინც თუ რომ კრების მოწყობა ძნელი იქნება.

გშმაკი.

## რატომ გამოვიქმეცი და როგორ გამოვიქმეცი თბილისიდან\*)

იმ არა ჩვეულებრივი აღმშენის ვინაობა მე დღემდის არ ვიცი, იმან კი ღიდი ხანია რაც ჩემი

\*) ეს წერილი უნდა მიმეძღვნა ქართველ მწერალთა საბჭოსათვის, მაგრამ არ მაიმძღვინია, რადგანაც არ ვიცნობ და არც ვიცი: არსებობს თუ არა სსკეპული საბჭო, როგორც იურადიული, რამესაც შეუძლია მიიღოს ძველი. თუ, ვიფიქრე, მწერალთა საბჭო არ არსებობს როგორც „იურადიული მიმდევრები“, ხომ დაიკარგა „მძღვინი საბჭოები“. მაგრამ თუ კი ის შეადგენს ამხანაგს, მას კმდევა უფლება გასცნადის პრეტენზია აქ მოუყვანა დიეტარტორულ საკანსურზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის არ მაიმძღვინია. სწორედ ამისი განცხადება იყო შეინაგნის მახანა. შეიძლება უფლებივე ეს მისასუქდრია შეუინაგნადაც! შეიძლება ამიტომ უდგა დროც არის ეს შეიძენს! მაგრამ რაკი დაიწერა—დაჩქეს. უადგილო განა ცოტა იწერება? მაშ ეს რანი სტრეიქსი რას დაქვდება ან რას დაქვდება?

თარაში.

კურადლება მიქცია. თბილისის სსკეპული კოლეჯში მრავალ გზის შემინიწნავს მისი დამსწრე მსწრე სხანხ. ყოველთვის მოუსვენარი და აღუვებული ათვლიერება ხოლომე ვაზეთებს და გაფიქრებულნი, მუდამ ერთსა და იმავეს ბუტბუტება:

— საცოდავია... საცოდავი სწორედ...  
— რა ამბავია!... ვისზედ ამბობთ მიგას?— გავბედე მე ერთხელ და დავეკითხე ისეთი კილოთი, თითქმის პირველიად მსმენოდა მისი ჩივილი.

— საშინლად მეკობრება ეკ უდნაშაულოდ დასჯილი კატეგორია მოქალაქეთა—სთქვა იმან ჩემად, მაგრამ ბევრითად და მომაპყრა თავისი შავი, ფართოდ გახეილი, მკრთალი თვალები. რამდენი მოუსვენობობაა ამ შეშინებულ თვალებში? რამდენი დალილილობაა ამ ფერმიხილლ სახეში? რამ დაქანცა ეს აღმშენი! რამ ვახანდა ასე მოუსვენარი — უკაცრავად... ვერ ვავიგე რომელ მოქალაქეებზე ამბობთ!—დავეკითხე წყნარად, კრძალვით.

მისი მოშავო წაბლისფერი თმა და წვერი, მოძველო პალტო და ასეთივე შლიაპა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომ გვეგონებათ: უთუოდ მესამოცდაათე წლების „ნაროდოვოლციაო“. ეს გარემოება უფრო საყურადღებოთ ხდის მას ჩემთვის და მეც მთლად სმენად გაღაქკული ვსდილობ არ ვგვაპარო არც ერთი მისი სიტყვა.

— ჩვენი ეურნალ ვაზეთების მკითხველებზე მოგახსენებთ.

— სწორედ ვერაფერი გავიგე თქვენმა მზემ... რაშია საქმე?— არ მოვეშვი მე, რაკი ვნახე, რომ არ იყო ჩემთან ბასის წინამდევნი.

— საქმე იმაშია, რომ არ არის ისეთი სულელი, რომელიც კვებს არ ასწავლიდეს ჩვენებურ მკითხველს... მიუხედავად იმისა რომ ის თავისუფალი მოქალაქეა, არ არის ისეთი მოცილილი, რომ არ აძალბდეს მის თავისი უსაკმეურობის ნაყოფს.

მის ხმაში გაისმა შეუბრალებელი კილო, გამანიავებული, გესლიანი კილო და მეც ვაშტერებული მივიჩერდი მოუსვენარ თვლებზე: დამერთო ჩემო! რამდენი შხამიანი სიბრაზე იმარხება მათ შვეფურსკულონი!..

— განა საცოდავი არ არის კაცი, რომელიც რამე აზრს ეძებს ვოველ-დღიურ გამოცემებში?— ვანაგრძო იმან მკენევი ვნით — საცოდავი არ არის...

ჩემის აზრით თავი ამ საბრალლო ადამიანისა, რომელსაც მკითხველი ეწოდება, განსაკუთრებით პატარა ზომისაა, შუბლი კი ვიწრო და ჩაწეული... სახე ამ გოშის ხალხს მუდამ უაზროდ მოცინარი უნდა ჰქონდეს. ექვს გარეშეა, რომ მათ სკირთ ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, რომელსაც ჰქვიათ „უწყინარი სიგიჟე“. ასეთი ავადმყოფი მოუჩინებელი არის და ყოველად უიმედოა. ავადმყოფობა უმეტესად იმაში გამოიხატება, რომ სწული ხმის არ იღებს, როგორათაც უნდა არ მოეპყრან, არის თავის თავად და ილიმება. დამბრუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სწულიება მართლა სკირს ყოველდღიური პრესის მკითხველებს, თუ კი, რასაკვირველია, არსებობენ ისინი. ამა რატომ არ იღებენ ხმას.. მე იმდენად მწამს ქართველი კაცის სალი გონება, რომ არ მჯერა ქართველი მკითხველის არსებობა; მაგრამ ქართული ჟურნალ-გაზეთები და მწერლები? მაგრამ ჩემი ნაცნობები, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა ქართველი ჟურნალისტია? საიდან გაჩნდებოდნენ ნეტა ისინი მკითხველები რომ არ ჰყოლოდათ? ჟურნალისტთა კი ხომ ერთგვარი საქონელია და უბაზროდ მისი წარმოება ხომ შეუძლებელია. გასაკვირვებელი მხოლოდ სამწუხაროთ ის არის თუ საიდან გაჩნდა ქართველი მკითხველი, თორემ მისი არსებობა ყოველ ექვს გარეშე.. ისტორია არავითარ ცნობებს არ იძლევა ამ ცხოველთა შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველს მეორე ხარისხიანი როლი არ უთამაშნია მის გამრავლებაში.. შოთამ შეაყვარა ქართველებს ვიგნი და ამ გარემოებამ იქონია საბედისწერა შედეგი. ყოველი დამწერი, განურჩევლად მისი დაწერილის ხასიათისა და დანიშნულებისა, აღტაცებას იწყებდა: აი ეს არის რომელმაც რომ დასწერა... ეს არის, რომ ჰეტრიას ბიჭი ჩაადლო გაზეთშია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი თავგამოდებული ქართველი—მოთამაშე ბავშვების მიერ დახაზულ ქვიშაში შოთას რითმებს ჰპოვებდა.. მაგრამ უმედურება ამით თომ თავდებოდეს თქვენი ქირიცი წაუღია... საქმე იმაშია, რომ მკითხველ საზოგადოებას ყველგან შეადგენს შეგნებული ნაწილი ხალხისა. ჩვენშიც მათ მოწინავე ელემენტი ჰქვია. და უმედურებაც იმაშია, თუ არის ვინმე, რომელსაც სკირია ჩვენს ყოველ-დღიურ გამოკრებებში სიბრძნის მაძიებელთა „მოწინავეობა“. მე ესეც

მინდა არ მჯეროდეს, მინდა გამოვიხატო ოპტიმისტობა... მაგრამ ფაქტები!.. ფაქტები!.. ჟურნალ-გაზეთები მატულობენ, ბუქდღითი სიტყვა ფებს იდგამს, აი რას გვეუბნება უტყუარი სინამდვილე. აშკარაა რომ მკითხველებიც მრავლდებიან. მე წარმოდგენილი მაქვს ის საშინელი დრო, როცა მთელი ჩვენი ხალხი მკითხველებისაგან იქნება შემდგარი და ჩვენი ქვეყნის მომავალი ბურჟუაზია იმოსება ჩემს წარმოდგენაში. დამაჯერეთ, რომ ჩვენს პრესას არა ჰყავს მკითხველები და მეც ვიწამებ ჩვენი ერის მომავალი! მე ეს მინდა მწამდე! მინდა მჯეროდეს! მაშ დამაჯერეთ!

უკანასკნელი სიტყვები მან ისეთი პაფოსით წარმოსთქვა, რომ ჩვეულებრივი სიუჟე ძალაუნებურად დიორდა და საშკარხველოს გამგე იძულებული შეიქნა სასტიკად შეენიშნა ჩვენთვის:

— სამკითხველოში ლაპარაკი არ შეიძლება და თუ სალაპარაკო—გაქვთ, კარში გაბრძანდით.

რამოდენიმე კვირის შემდეგ ვნახე ჩემი უცნაური „ნაროდოლოგი“ ჯარისკაცთა ბაზარში. სახე მთლად გაშრობოდა და დაღურჯებოდა. თვალზე ჩაფარდნილი და წვერ-აბურჩენული, ეხლა ის მაქსიმ გორკის ტიპებს უფრო მაგონებდა ვიდრე „ნაროდოლოგი“.

— ქართულ გაზეთებს სომხის ნაციონალისტები სცემენ, რომ დატანჯონ ქართველი მკითხველიო— უმტიციებდა გაცხარებით ვრთს გრძელწვერა მეწვერლომანეს.

ამგვარ უცნაურ პირებს მე ერთობ ხშირად ვხვდები და ძლიერ საინტერესოა მათი მოსმენა, მაგრამ ჩვენი ნაცნობის ვნა უკვე არ ანთხედა წინანდებურ შხამს და არ მეტყველებდა ჭეშინდელი სარკაზმით. მის ხმაში ისე გამოკრთოდა სიცხარე. მაგრამ თვით სტყვებში არ სჩანდა უწყინდელი ძალა. ჩემის აზრით, თითქოს ვხედავდი თვალთ, რომ სადღაც შორს, სიღრმეში, მოშვებული იყო პატარა ვინტი, რომელსაც აწ ვერაფერი ეშველებოდა. მე მგონია, რომ ის არც წინად იყო რიგზე, მაგრამ... ღმერთმა ბრალდებულს მოჰკითხოს!

— ნაციონალისტები აქ რა შუაშია—დავიწყე მორიდებით, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემეწყვიტა უხერხული მღუმარება— ამ საკითხში მე ვეთანხმები თქვენს წინანდელ აზრს... ჟურნალისტთა არის ერთგვარი



საქონელი, რომელიც მზადდება ბაზრის მოთხოვნილებისამებრ... და თუ თქვენი „გემო“ ასე თუ ისე, არ არის დაკმაყოფილებული, ამის ბრალია „უგემურობა“ იმ უპრავლესობისა, რომელიც „ვედაგენს ბექედითი სიტყვის ბაზარს, თორემ... ნაციონალისტები აქ რა შუაშია!...

— თქვენ ყველგან ბაზარი და საქონელი გელანდებათ... თქვენ ალბად მარქარისტი ხართ!.. განა ბაზრის მოთხოვნილება იწვევდა ძველი რეჟიმის დროს მათრახების ტლაშუნს?... სრულიადაც არა!.. თქვენ იცი თუ არა, რომ საღისტები იცვამდნენ პოლიციელების ფორმას, მოიმიჯნებდნენ რიგიანობის დაცვას და ყოველ უდანაშაულოთა უწყალო დევნაში ჰპოებდნენ სიამოვნებას!.. ეხლა იგივე საღისტები რელაქტივში ჩასხდნენ, რაკი სხვაგან გამოეცალათ სამოქმედო ასპარეზო... ამზადებენ საზოგადო მოღვაწეობას და აწამებენ ხალხს!..

გათავა ემან ცხარედ თუ არა, გაკვიდა ხმა მოულოდნელად და გარეტებულოვით მიაშტერდა შორს, შორს, სივრცეს. დააკვირდა, დააკვირდა, დაიწია მოხსნადა ქუდი და ფეხ აკრეფით მიეფარა ქუჩის მახლობელ კუთხეს.

— ვეუბნებოდი ამ დალოცვილის შვილს— ჩაქანია თავი გრძელ წვერა მეწვრილიმანემ— წუ კითხულობ მგდენ ვაჭეთებს, თორემ სიკეთეს არ გიზამს მაგი-თქო... ნაცნობი კაცის შვილია, საყვარელი კაცის... კარგი ყმაწვილიც იყო და კარგი მინდოდა მისთვის... მაგრამ არ დაიჯერა და აი ეხლა რა რიჯად იღუპება კაცი... ყველაფერს ზომა უნდა ჩემო კეთილო, ყველაფერს!.. გუშინ ერთს ყმაწვილ კაცს... მწერალიაო და... კინალამ ქორორი ჩამოუფცქენა... „ესენი არიან ჩემი დამღუპველებიო“... „რელაქტივები უთუოდ უნდა დავამტეროოვო“... ვერ დავამშვიდეთ... არ იქნა!.. იყვირა... პირზე ქაფი მოერიო... განა ასე უნდა კაცი!.. განა ასე უნდა სწავლის გამოყენება... ა, ყმაწვილო!.. თქვენ ხომ რამე არ გნებათუ?..

...მავე დღეში იყო, თუ არ ვცდები: ქუჩაში ჩემს გვერდით გაითხარეკა ხხალდროინდელმა მტერმა ჟურნალისტიკისამ. უკანიდან ის მარტლა „გორკის ტიპი“ იყო. ნაროდოვოლეს ის უკვე არ მოგაგონებდა. ცოტა არ იყოს შეშინებული მისი სახის მოსარიდებელი გამომეტყველებით, მე ვაყვყვ

მას შორიდან როგორც გაშუშის ბოქსის მტკიცე მწერ ხელების ქნევით და მუქარით მიეშურებოდა გამაღებელი. მისი მწყრომარე „ექსტრკულიაცია“ თანდა თან უფრო ტრადიკულ ხასიათს ღებულობდა. ფეხებს თან და თან უჩქარებდა და მიქროდა ქარივით.

— ის განა მე ვარ!.. არა... ის სხვა იყო... იმის უყვარდა... სძულდა... სწამდა— ბუტბუტებდა თავისთვის როგორც უნიჭოდ დაწერილი დრამის ტრადიკული გმირი— მას ჰქონდა ლტოლვილება მშვენიერებასადმი... ეწაფებოდა მწერლობას!.. მაგრამ ის მოშამეს... ის მოკლეს!.. მერე ვინ!.. ვინ?!.. სწორედ ამათ!.. ამთ!.. აფერ რომ მოდის... ისინი თქვენ კინტოები გგონიათ ხახვით რომ ვაქრობენ... არა!.. ჟურნალისტები ან და აგრე ქუჩის რომ სწმუნდეს, თქვენ ალბად მეგზოვე გგონიათ! ჰმ... რა გულუბრყვილობაა! მავიც ჟურნალისტია... მე მძულს იგი... მე იმან მომკლა... მე შური უნდა ვიძიო... მე არ შემეძლია ის ის-ის... ის... რა-რა... ღღ... ღღ...  
შეიერი მზეცივით და ბზაზმორეული ეტაკა მეგზოვეს. ატყდა ხმაურობა, ჩოჩქალი. ქუჩა ხალხით გაიქედა. წინამდებე ჩვეულებისა ამობრძანდენ მამინ მილიციონერებიც. პირზე ქაფ მორეულ ღონე მიხდილ „გორკის ტიპს“ ჩააგლეს ხელები და გააქანეს ეტლისკენ. საზარელი იყო სწორედ მისი სახის გამომეტყველება, და მახსოვს ორ ქალბატონს გული შეუწუხდა მის დანახვაზე. მეც აქ დავანებე თავი მის დევნას, როგორც სრულიად უსარგებლო საქმეს.

მავე საღამოს სამკითხველოში ძალაუფებურად დავაკვირდი მკითხველთა სახეს და ვაკვირვებუდი დავრჩი მათი უცნაური მსგავსებით შეშლილ „ნაროდოვოლესთან“  
ყელა ვაფითრებუღია, ყველა ფერმიხდილია, ყველა თვალჩაცვივებულია. ეგ არისწამობტებიან და დაიწყებენ ლალადის.

— ქართულ ვაჭეთებს სომხის ნაციონალისტები სცემენო!— და მეც ავყვები უთუოდ! უთუოდ ავყვები მეც!  
— ღმერთო ჩემო!.. ეგ რა მემართება!.. რატომ კითხულობენ ისინი ამ წყეულ ვაჭეთებს!.. რატომ არ ანებებენ თავს!..  
მე არ ვიცი კიდევ რა ვიფიქრე, მაგრამ ეხლა



დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ფიქრებს ხმა-მალა ვამღებდნენდი, რადგანაც ვანრისხებულმა სამკითხველს გამგემ სასტიკად შეწინა:

— ყმაწვილი, მე თქვენ რამოდენიმეჯერ ვითხარით, რომ სამკითხველოში ხმა-მალა ლაპარაკი აკრძალულთაა.

მე გამოვიდი გარედ, მაგრამ უკან კიდევ ბევრ ხანს მესმოდა ჩურჩული. „აღბალ ჩემზეა ლაპარაკი“, ვფიქრობდი ბრახმორეული და გამალებით მიცქანებოდი ბინისკენ.

მიველ თუ არა, ჩემს დანახვებზე ღიასხლისს გული შეუწუხდა. „ნუ თუ ესოდენ სახარელია ჩემი სახე“, ვიფიქრე და ავიღე სარკე, მაგრამ... თქვენი შტრის, მე დაინახე:

— კარიკატურა, სწორედ კარიკატურა შეჩვევებული „ნაროდოვოლეცისა“!

მე ღრმად ამოვიოხრე. აღბად, ვსთქვი გულში ნაღვლიანად, მეც მალე დავემსგავსები „გორკის ტიპებს, ან და“... ვავედღენები ვიღაცას იქნება ფესსაკმელი ხელში! არ ვიცი რატომ უნდა მოვიქცე ასე, მაგრამ უბეველია ვიზამ მას უკვე მადობილდებდნენ, რომ „ღამით საშინლად ჰბოდავ და გამწვავებული სიხარით იხსენიებ ნაციონალისტებსა“. აჟ მიზნული თუ რატომ მესიხრებდა ეგ ოხერი ჯიში ორფენოვანი ცხოველებისა.

მიგზლი და მეორე დღეს, როცა ჩვეულები-სამებრ, ვახუთების წასაკთხავად სამკითხველოში მომინდა წასვლა, მე ძალა დავატანე ჩემს თავს და ვაგზლისკენ ვავფიქრებ.

რომანსტი რომ ვიყო, უთუოდ უნდა ამეწერა ჩემი ამაღლებული სულიერი განწყობილება, როცა მე დიდი თავგამოდებული ბროლის შემდეგ ვიპოვე ალავ ვაგროში.

მაგრამ მე რომანსტი არა ვარ და ამიტომ ვჭკობ მითითითა ტნობის მოყვარე მკითხველებს სენსაციურ რომანებზე, სადაც, ასე თუ ისე, ყოველთვის შეგძლიან გიყნოთ გამარჯვებული გმირების ფსიხიურ განცდას.

მე სწორედ იმას ვაჩვიდიდი, რასაც განიცდი ხოლმე კაცი, რომელიც ეგ არის ვადარა სახედისწერო განსაზღვრის ასეთი განცდის აღწერა ყოველთვის ბლომად მოიპოება რომანებში და მეც შეითხველებს იქით მიუთითებ.

თუ თქვენის ფიქრით ესეც არ კმარა ამ სურა-

თის სრულ საყოფად, იმ გარეუბრეში შეგიძლიათ იქონიოთ ცოტადენი წარბოდგენა, რომ სრულებით არ შემშინებია როცა გაისმა:

— თქვენი ბილეთი!— ო,

მიუხედავად იმისა, რომ მქონდა საბუთი ცუდი მომხვედრება საჭმე. ასე უცნაურია ხოლმე ადამიანი თავისი ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტებში!

— თქვენი ბილეთი?!— განმეორდა კითხვა და უკვე აშკარა იყო რომ მზადდებოდა მეორე განსაცდელი, არა ნაკლებ საშინელი, ვიდრე ადგილის მოპოება ვაგროში.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ადამიანს განსაცდელის დროს უბრუნდება მთელი თავისი არსებობის ინსტიქტი, მთელი თავისი სხიცოცხლო ძალა!

ამ წამში უნდა გადაწყვეტილიყო: თბილისში დარჩენა, თუ წასვლა!.. ეს იყო ჩემი ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ასეთ წამებში კი ადამიანი უფრო საზრიანად მოქმედობს ვიდრე ჩვეულებრივ დროს. აღბად ამიტომ მოხდა, რომ არ დავბეულვარ.

— რომელი ბილეთი?— დავკითხე პირიქით თითქოს არც ვამეგო რაზედ იყო ლაპარაკი.

— როგორ თუ „რომელი ბილეთი“!— განმიფორა იმან ჩემი კითხვა მკვახე ირონიით.

დიდი უზრდელი ვინმე კია ეგ არაშადა!

— გთხოვთ დასტოვოთ ვაგრონი!.. მე მაშინათვე წარმომიდგა ყოველგვარი სახედისწერო შედეგი ამ მოთხოვნილების ასრულებისა, ყოველივე რასაც ვაპოვებდით და ვერ გამოგო: ნუ თუ ამ ადამიანს საითით ხელში, რომელსაც კონტრუქტორი ჰქვია, შესწევს ადენი შეუბრალებლობა, რომ დამიბრუნოს ეს სულის შემბუთველი ატმოსფერა: მაშ რათ არ ძალმიძს მხამად ვადეიქტე, ცეცხლათ მოვივლო და ფერფლად ვაქციო ეს ჯალათი ეგა!

— თქვენ იცით თუ არა— მივმართე მას ადღევებულმა— რომ ბილეთების კასსათან დაუსრულებული „კული“ იყო და სანამ ჩემზე მოაწვდა რიგი მატარებელი წავიდოდა?!.. თქვენ იცით თუ არა, რომ თბილისში დარჩენა ჩემთვის სიკვდილია?! თქვენ იცით თუ არა, რომ მე არ შემიძლია არ ვიკითხო და კითხვა კი ჩემთვის წამებაა?!.. ობ დემითოა ჩემისა და არის შებრალები!.. სად არის ადამიანური გრძნობა?!.. სად არის პატივისცემა მოქალაქის ღირსებისა!..



არ ვიცი კიდე რამდენი ვიმპერმეტრაველი, მხოლოდ როცა გამოვერკვი, ჩემს წინ შეიარაღებული ჯარის კაცები იდგნენ და კატეგორიულ წინადადებას მიძღვედნენ დამეტოვებია მეორე კლასი.

მე ცხატარბული პროტესტით უპასუხე ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ.

მაშინ ბალშევიკად გამოაცხადეს და დამანებეს თავი. მე სწორედ არ ვიცი რას ჰქვია ბალშევიკი, მაგრამ ამას კი მივხვდი, რომ ამ სახელით ძლიერადილი ყოფილა რკინის გზაზე მგზავრობა. ვინ სთქვა მისვლა-მოსვლა გაძველებულიაო! გამოაცხადეთ თავიანთ თავი ბალშევიკად და იარეთ! ეს ადვილიც არის და იადვიც.

ვცხოვრობ ეხლა მყუდროებაში რამოდენიმე კვირეა. მეუბნებიან: „ფერი მოგივიდაო“.

მეც ვხედავ რომ ნაციონალისტები არ მესიზმრებიან და... უნდა იცოდეთ მერე თუ რა უდნეი რებეა ეს!

თქვენ ეგებ ისიც გსურთ ვაგოთ: რომელია ის კურთხეული ქვეყანა, სადაც შესაძლებელია ასეთი ბედნიერი ცხოვრება!

ნურას უკაცრავად!

თქვენ მაშინათვე ვაზფიებს გამომიგზავნით.

მე ვიცი თქვენი შეუბრალებლობის ამბავი!

თარაში

# დაფუძნებულ კრების არჩევნები კახეთში.

(სტენა ურთ მამქვედებათ)

მომქმენი პირან:

ცხვირიაშვილი — სოც. დემოკრატი.

ცერცეცაშვილი — სოც.-ფედერალისტი

აჯამიანცი — დაშნაკელი.

ხინკალაური — ეროვნული (ნ.-დ).

ჩახველაშვილი — სოხლის კომისარი.

ქიტა, მიხა, ბესო — გლეხები.

თხლეშაქქიანცი — ახალგაზდა ქალი.

თათელა — დედა-კაცი.-მოხუცი.

ჩახჩახიანიცი — მიკიტანი.

ჭიშიაშვილი — მილიციონერი

(პოქმედება სწარმოებს სოფლის სამმართველოში, ცხვირიაშვილი, ცერცეცაშვილი, აჯამიანცი, ხინ

კალაური და ჩახველაშვილი) სოციალისტთა, რომელიც სდგას კარებს პილდნარო. სტენის მარცხენა მხარეს სდგას ურნა. მაგიდაზე ალაგია ბიულეტენები № 1, 6, 4 და 8. შემოდის ქიტა).

ქიტა. ენიაზებს გაუშარჯოს. (იხდის ქულს), რადაცა ქაღალდი მოუტანია ჩვენსა მილიციონს (აჩვენებს პიროვნების ბარათებს) ჩემთვინ და ჩემი დედაკაცითვინ და უთქვამს კანცლარიაში გიბარებნო. ღმერთია მოწამე, ორი კვირა იქნება რაც ტყევი ვარ შეშვზე, ისედაც მთელი სოფელი დამემოწმება, რომ....

ცხვირიაშვილი. (სიტყვას წყვეტინებს) მოითმინე ქიტავ, შენ გეტყობა არაფერი ვაგოია. ან სიდან გაივებდი წუხელ მოსულხარ....

ქიტა. (აწყვეტინებს) არა შენიჭირიმე, როგორ არ ვამივია. დედაკაცმა მელაპარაკა ყველაფერი, მაგრამ ისაც ვაგოვებ, რომ ვინც კანცლარიაში მივაღაიქერნო.

ცხვირიაშვილი. მაგვარ ხმებს, ჩემო ქიტავ, ხალხის შტრები ავრცელებენ, რომ ხმები დააკარგონონ; ამ ერთ კვირაში ორი ათასი კაცი ვერ და მოვიდეს ხმის მისაცემად, ამა ყველას ხომ უნდა დავიქერთ. ეგ პროვოკაციაა. შენ სთქვი, რომელ პარტიას აძლევ ხმას. ეს პირველი ნომერი-სოციალდემოკრატებია (აჩვენებს ბიულეტენებს) ეს მეექვმე ფედერალისტებისა, ეს მეოთხე დაშნაკელებისა, ეს მერვე ნაციონალდემოკრატებისა.

ქიტა ამა მაუითანების რომ მიმიყოლე, შე დალოცვილო, მე რავიცი მათგებისა. შენ მითხარ, მუშა პარტიის ნომერი რომელია. ფედერალიზებისა არ მინდა.

ცხვირიაშვილი. აი ეს არის (აჩვენებს №1 სიას) აილე, ჩაღე ამ კონვერტში (აძლევს კონვერტს) და ჩააღდე ამ ყუთში (აჩვენებს).

ქიტა. ერთიც მამეციტ ამითანა, ჩემი ცოლის ბადლთაც მე ჩავაგდე, ბარემ აქა ვარ და....

ცერცეცაშვილი. (შეტევით) არ იქნება. შენი ცოლი თვითონ უნდა მოვიდეს. შენ შენი ხმა მიეცი და წაიღე.

ქიტა. ჰო, რაქი ზაკონში არარჩი... აბა... (აგდებს ურნაში კონვერტს და მიდის. შემოდის მიხა).

მიხა. აბა, ლომრები აქ არი ჩასვადები? ჩახველაშვილი. შენ, რომელი ნომერი გინდა? მიხა. აბა, როგორ გითხრა? ი კაუქინს ჯო-

ხევით რო ჩამოუსვამთ, ამობენ ის არი მუშა პარტიისა, ის მომეციო. ჰაა, ფედერალისტებისა არ იყოს... (აჯამიანცი აძლევს კონვერტს და № 1 სიას აჩვენებს როგორც უნდა მოიქცეს)

**მიხა** (ჩაადგებს კონვერტს) ჩემი დედაკაცის ბაბლათ რომ მე ჩავადგო, რაუფეს?

**აჯამიანცი** არა, იმან თითონ უნდა მოვიდეს.

(მიხა გადის. შემოდის ბესო)

**ბესო**. (ხელში უჭირავს ათამდე პიროვნების ბარათი) პირველი რომელია? მაიტა, ერთი ათიოდე მომეციო, ჩვენი უბნის დედაკაცებში ქალაღლები მე გამომატანეს. ჩვენ მაგივრათ სუ პირველი ჩაყარეო. ჩემი ჩასადგებიც აქავე მაქვს ცალკე შენახული, (იღებს ჯიბიდან. მაგიდასთან მსხდომთ ეცინებათ)

**ცვირაიშვილი**. (აძლევს № 1 სიას ეს შენ ჩაავდე, ჩემო ბესო, ის თქვენი უბნის დედაკაცები კი თვითონ მოვიდნენ.

**ბესო**. (იციანს) რასა ბძანებ, შე დალოცვილო, ესლა ი დედაკაცებში ბევრი ახალი ჯვარ დაწერილი პატარძალი ურევია, აბა იმათ აქ რა მიიყვანს, ხომ მოგვსენებათ...

**აჯამიანცი**. ვა ჩვენ რაქვენათ ზაკონი ესეა.

**ბესო**. ჰო! აბა როცა ვგრე ყოფილა (ავდებს ურნაში კონვერტს და გადის. შემოდის თხლეშაქქიანცი).

**ცვიტვაშვილი** (ფეხზე ადგომით) პირველი მოგვით თუ?

**თხლეშაქქიანცი**. მაშ, მაშ... მე უტოლინარი ვინმე მუქიკი ხომ არ გგონივართ? მე ჩვენმა ტერტერამ უფე მითხრა, რომ სომხების ნომერი მეოთხეა. აი აქა მაქვს (იღებს უბიდან) თქვენ კანვერტი მომეციო...

**ცვირაიშვილი**. (აძლევს კონვერტს) ეს თქვენი ნება, მხოლოთ იცოდეთ, რომ სომხებიც ბევრნი აძლევენ ხმას № 1 სიას.

**აჯამიანცი**. (წამოადგება) *Ва онъ четыре номеръ хочить, какой ваши дѣла?*

**თხლეშაქქიანცი**. (ართმევს კონვერტს სდებს 4 № და ავდებს ურნაში) სხვა რომ კლდეში გადავარდეს ნუუეელი მეც უნდა გადავყვე?

**აჯამიანცი**, (ღიმილით) *от маладец, ей Бога настоящій патриотка* (თხლეშაქქიანცი გადის. შემოდის თათელა).

**თათელა** (აჯამიანცს) *გაყოფილენ ქათლი—* ჯალაბი ლაპარაკობდა ჩვენ უბანში, რომ ვინც მეოთხე ნომერს ჩაავდებს იათ გირვანქა შაქარს მიიღებსო, ვინც პირველსაო-ის კი ერთსაო. დემრთი შეიღებს გიკოცხლებს იათი ნომერი მომეცი თუ ხო იცი თვალთ არ მიჭრის.

**აჯამიანცი**, ნათლიდღე, შაქარზე რა შოგახსენო, და ეს მეოთხე ნომერი კი მიირთვი (აწვდის № 4 სიას და კონვერტს).

**ხინკალაური**. დედი! ნათლი ჯალაბმა ის კი არ გითხრა, რომ თუ შერეე ნომერს ჩაავდე, რვა გირვანქას მიიღებო? (აძლევს შერეე ნომრის სიას) აი შერეე.

**თათელა**. შეილო, თუნდაც ნათლიჯალაბს არ ეთქო თუ კი მაგნაირ სიკეთეს მიხამ, არ კი დაგლოკო. (სდებს აჯამიანცის მიცემულს მე 45 ნომერს და ართმევს მე 8 ნომერს,

**ცერცვაშვილი** (წამოადგება გაბრაზებული) აბა, აქ სამასხაროთ მოხვედით თუ რა?! (თათელას) დედი, აქ სად ხელამ შაქარს! აქ სხვა და სხვა პარტიების სიები (ჩამოთვლის) რომელიც გინდა აიღე და ჩაავდე ავერ იმ ყუთში.

**თათელა**. (დაღონებული) წუწუნით) რაკი. შაქარი არა ყოფილა ექვსი ნომერი მომეციო. იციან ყველანი, გარდა ცერცვაშვილისა, (თათელა ჟამლევს ხმას და გადის. შემოდის რახრახიანცი რომელიც მთვრალია).

**რახრახიანცი**. მე დღეს ვავიგე რომ, ვინც პირველს ჩაავდებს კახეთიდან პერესელიიტს უშვრებიანო. მართალია? თუ მართალია, ნუ დაიღებთ ჩემი ცოლშვილის ცოდოს, მე გთხოვთ, რომა გუშინდელი ჩადებულნი ისეე ამაგადებო ნოთ... (ტირის) ვა ნუუეელი ჩემი მოგებული ფული, მამული აქ უნდა დარჩეს და მეც აქედან ისევე უნდა მიყონ? (ტიროლის ხმაზე შემოდის კიმი-აშვილი, რომელსაც გაყავს მთვრალი, ისმის გარედან რახრახიანცის ხმა) ვა, მე რა ვიცოდი, რომ მცოდნოდა ჩემი თავის მტერი გაეხდებოდი...

**ჯიბილა**.

\*) „ეშმაკის მათრახში“ აბეჭდებოდა სტენები ფსევდონიმით „რ. ჯიბილა“. რედაქცია ცხნაღებს რომ „ჯიბილა“ არ არის „რ. ჯიბილა“